საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/30

ქ. ბათუმი 31 ---- იანვარი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების მე-7 მუხლის ,,ვ“ პუნქტისა და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 29 დეკემბრის N1674001 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსი ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროფესიულ სტუდენტებს ***(დანართი №1)***, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ გამოცხადებულან ბსუ-ში და არც გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაცია წარმოუდგენიათ.
2. ბრძანება აისახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიულ სტუდენტებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიულ სტუდენტს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 31 იანვარი №01-08/30 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში არ გამოცხადებულან ბსუ-ში, გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ და შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი:

N	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	ჩარიცხვის ბრძანების N და თარიღი	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი
1	გიორგი არაშიძე		ბუღალტრული აღრიცხვა, მე-5 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/95, 05.10.2022
2	მარიამ არაშიძე		ბუღალტრული აღრიცხვა, მე-5 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/94, 05.10.2022
3	ჯემალ შავაძე		ბუღალტრული აღრიცხვა, მე-5 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/97, 06.10.2022
4	ნინო უსტიაშვილი		საფინანსო სერვისები, მე-3 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/15, 08.10.2022
5	მინდია ანანიძე		სატყეო საქმე მე-3 დონე	01-08/983, 07.11.2022	20-04/102, 14.10.2022
6	გოჩა ქათამაძე		სატყეო საქმე მე-3 დონე	01-08/983, 07.11.2022	20-04/98, 26.10.2022
7	ზვიად ჭოლაძე		სატყეო საქმე მე-3 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/71, 06.10.2022

8	ვაჟა მილორავა		მებაღეობა, მე-4 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/77, 06.09.2022
9	იამზე ყაჭეიშვილი		საბიბლიოთეკო საქმე, მე-4 დონე	01-08/983, 07.11.2022	20-04/109, 06.10.2022
10	ანნა ქათამაძე		საბიბლიოთეკო საქმე, მე-4 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/40 06.10.2022
11	ნიკა შარაშიძე		ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, მე-3 დონე	01-08/983, 07.11.2022	20-04/113 26.10.2022
12	ედიშერ ჟღენტი		ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, მე-3 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/62, 06.10.2022
13	ლეონ სლიუსარევი		ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, მე-3 დონე	01-08/920, 10.10.2022	20-04/48, 06.10.2022